№ 95, მაისის 5, კვირა. 1866—1885 მაისის 5, კვირა. № 95.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქიქოძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული [illegible] გვერდი 25 მანათი; პირველი [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**შემდეგი ნომერი გამოვა მაისის 8-ს**

თბილისის გუბერნიის

## თავად-აზნაურობა

მოიწვევა ჩვეულებრივს გუბერნიის კრებაზე, ორშაბათს, მაისის **6-ს**, დილის **11-ს** საათზე.

კრება მოხდება თბილისის კლუბის დარბაზში, გოლოვინის პროსპექტზედ თ-დი მუხრან-ბატონის სახლში.

(2—2) თბილისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლი, გენერალ-მაიორი

თ. დ. სუმბათაშვილი.

**ქართული თეატრი**

დღეს, მაისის 5-ს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ა. მ. მოხევისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## ბნელ ოთახში

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

II

## ბაღეში

კომედია ორს მოქმედებად ა. ცაგარლისა.

## დივერტისმენტი

სხვათა შორის კახურს ხმებს იმღერებს ხორი და სხვა და სხვა თამაშობა იქნება.

დასაწყისი 8 საათზე.

---

თბილისი, მაისის 5-ს.

ხვალ, ორშაბათს, თბილისის კლუბის ზალაში შეიყრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა და იქიდამ გაემგზავრება სიონის ეკლესიაში ფიცის მისაღებად. თავად-აზნაურობამ უნდა ამოირჩიოს ღირსეული წინამძღოლი და ფიცი დასდოს, რომ მძიმე უფლებას ამორჩევისას იგი მოიხმარებს სინიდისისამებრ და ამოირჩევს იმისთანა კაცს, რომელიც სასარგებლო გამოდგეს, როგორც თავად-აზნაურობის წოდებისათვის, ისე მთელის ჩვენის ხალხისათვის.

ღირსეულ წინამძღოლს უნდა ესმოდეს მისი დანიშნულება და როგორც თვისი თავის ყადრი, ისე იმ საზოგადოებისა, რომელსაც იგი წარმოადგენს.

ღირსეული წინამძღოლი უნდა გულმოდგინედ ადევნებდეს თვალ-ყურს ყოველს საზოგადო მოვლენას, ყოველ განკარგულებას მთავრობისას, თავის გამჭრიახი ჭკუით ყველაფერს ასწონ-დასწონიდეს და თვის წარმომადგენელთა სარგებლობისამებრ იქცეოდეს.

ღირსეული წინამძღოლი უნდა იყოს,—მოგვიტევეთ ეს ცოტა მოძველებული შედარება,—კეთილი მწყემსი თავის ცხოვარისა.

ჩვენამ კარგად ვიცით, რომ ამ ჟამად ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ეს მდგომარეობა ყოველ წელს ახალ-ახალ საგან გამოიწვევს ხოლმე, რომელიც შეიძლება ასეც გადაწყდეს, ისეც; ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა, ვიმეორებთ, დამოკიდებულია წინამძღოლის ერთგულებაზედ თავის წოდებისადმი, მისგან თავის-გამოდებაზედ, მისგამჭრიახობაზედ.

ამ ჟამად ყველაზედ მეტად გვეჭირვება ერთგული, თავ-გამოდებული და გამჭრიახი წინამძღოლი!

იმედია, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა არ უმუხთლებს არც ფიცს, წმ. ეკლესიაში მიღებულს, არც თავის ხალხის სარგებლობისათვის ზრუნვას და მართლა რომ ღირსეულს წინამძღოლს ამოირჩევს.

---

## შინაური ქრონიკა

⊝⊝⊝ მოსამსახურედ ჩამოსული იმერლობა ბევრს გაჭირვებას ხვდება თბილისში თუ დალალებისა და თუ ადგილისაგან. ჯერ დალალი წაგლეჯავს რასმე შუამავლობისათვის და ხშირად ისეთს ადგას უძებნის, რომელიც არც თვითონ (ალა) იტყვის უარს წაგლეჯაზე. ეს გარემოება არის, სხვათაშორის, ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ ურიცხვს უქმად მოხეტიალე იმერლობას შეხვდებით დღეს თბილისში.—ზაფხულობით ერთი საუკეთესო „ადგილი“ ამ მოსამსახურე იმერლებისათვის თბილისის აუარებელი ბაღებია, მაგრამ აქაც, ამ ბაღებშიც არა ერთს დაბრკოლებას ხვდებიან ეს მოსამსახურები. მაგალითად ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ „მუშტაიდის“ მეიჯარადრე ისე არ მიიღებს იმერლელაქიას, თუ ამან ორი-სამი, ხშირად მეტი თუმანიც „ზალოგად“ არ წარადგინა. სწორედ ვერ აგვიხსნია—რას ნიშნავს ეს „ზალოგი“. მეიჯარადრეს განა ხელში არ უჭირავს საკმაო „ზალოგი“—ბილეთი მოსამსახურისა, რომელიც (მუშტაიდში) უჯამაგიროდ ემსახურება მას და მხოლოდ „სტოლის ფულით“ გამოდის...

⊝⊝⊝ დღეს თბილისის პედაგოგიური წრე და ბევრნი ამ წრის გარეშე პირნიც უმართვენ გამოსათხოვარს სადილს თბილისის რეალურ სასწავლებლის დირექტორს ი. ი. პენჩინსკის. ოც-და-ხუთმეტი წელიწადი ნაყოფიერად ილვაწა ი. ი. პენჩინსკიმ პედაგოგიურს ასპარეზზე. მისნი ნამოწაფარნი, რომელთაც ძლიერ ხშირად შეხვდებით თბილისის ინტელიგენციაში, და თანამოსამსახურენი პატივისცემით იხსენიებენ ამ კეთილის კაცის ღვაწლს და უკანასკნელად ძმურს სუფრაზე ეთხოვებიან მარადის სახსოვარს პედაგოგს.

⊝⊝⊝ ამ დღეებში დამტკიცდა აზრი სახემწიფო რჩევისა—შეიცვალოს ტამოჟნის წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაისინჯოს საქონელი, რომელიც კავკასიიდამ რუსეთში იგზავნება. ამ დებულების ძალით, „პეტერბურგის უწყებების“ სიტყვით, ყველა გასაგზავნი საქონელი, რომელიც სამზღვარზე მდებარე ქალაქებიდამ და სოფლებიდამ შუა გულს რუსეთში იგზავნება, გამგზავნთ წინ-და-წინ უნდა წარუდგინონ ტამოჟნის სამმართველოს ანუ ტამოჟნის ჩინოვნიკებს. როდესაც ეს გასაგზავნი საქონელი გასინჯულ იქმნება და საკარანტინო ტამოჟნისაგან ბეჭედ დაპლომბ-დასმული, იგი ისევ გამგზავნელს უბრუნდება და ფოსტაში აძლევენ გასაგზავნად.

⊝⊝⊝ ადგილობრივი პოლიციის მოხელეთ ელისავეტოპოლის გუბერნიის

---

## ჭრელი ფელეტონი

ქუთაისი.

„ხმა ესე ხმა იაკობისი, ხოლო
ხელნი ესე ხელნი ესავისნი“.

ჩემსა ბებიას ლურჯი თხა ჰყავდა,
ბებერს კიკინა მეტად უყვარდა.

დიაღ, „ჩემსა ბებიას ლურჯი თხა ჰყავდაო“, ეს უნდა ვსთქვათ ხოლმე მხოლოდ და თუნდა ათასჯერაც ვუთხრათ ერთმანეთს, დარაჯი ხმას არ გაგვცემს; ესე რომ ვსთქვათ, არ გვისაყვედურებს,—პირიქით, ბარაქალაო, გვეტყვის და კეთილსაიმედო რიცხვში გვიულიებს—„წიგნსა შინა ცხოვრებისასა“. სხვებრ არც კი შეიძლება,—ერთი მიტომ, რომ თხა ზვარაკად ხსენებულია და ადვილად შესაძლებელია ყლუპი უქნას კაცმა და მეორედ თხას დიდი წვერები აქვს და თუ მაკარის სამოვარზედ გადენა დასჭირდა ვისმეს, წვერებითაც იოლად წაიყვანს, ასე რომ ბაწრის, გინა ბორკილის ყიდვა და საზინის დასარჯავ მაინც-და-მაინც საჭირო არ იქნება. ამიტომ „ლურჯი თხა“ იმდენი იძახე, რამდენიც შენს გუნებას უნდოდეს, წინააღმდეგობას და ტუქსვას არავინ დაგიწყებს...

***

სულ სხვა არის, თუ იმღერე: „ყიყლიყო, მამალო, ოქროს ბიბილოვანო, მშვენიერ-ქოჩრიანო, ლამაზ ლაბაბიანო!“ აქ კი ცოტა თავდარიგად უნდა იყვე,—ვინ იცის, ეშმაკს თვალი არ აბიაო, ხომ მოგეხსენებათ, შეიძლება წამოგწვდეს ვინმე და ზე წაგაწიწკნოს თავი: აქაო და უდროოდ რად ჭყივიო! ბევრიც რომ იძახო: ყივილის დრო კანონს არ განუსაზღვრავსო, არა გაგივა-რა,—გეტყვიან: უდროოდ ჭყივიო და გათავდა! მერწმუნე, ყველა ჩვენი რჯულ მესტრეებიც რომ დაგესწრონ, ვერ გიხსნიან თავის წაწიწკნისაგან. თუ იტყვი,—რათაო? მოგიგებენ,—მათაო. ესეც რომ არ იყვეს, მამლს რაღაც ცუდი ხმა აქვს დავარდნილი და, ოჰო, რა ბევრს ეჯავრება მისი ყივილი! ზოგს მიტომ ეჯავრება, რომ მას თვითონ აღვიძებს; ზოგსაც კიდევ მიტომ ეჯავრება, რომ სხვას აღვიძებს,—მოკლედ რომ ვსთქვათ, მამალი გაღვიძების, სიფხიზლის და თავის-თავზედ მიხედვის ემბლემად მიაჩნია ქვეყანას და ეს კი ყველას რაღაც არ ეპიტნავება. ერთს უნდა, რომ სულ ეძინოს და ეძინოს; მეორე ბედნიერებას იმაში ჰხედავს, რომ თვითონ ეღვიძოს, მაგრამ სხვებს კი ყველას ეძინოს, ვინაიდგან საძაგლოდ უფრო ფართო გზა ექნება გახსნილი; მესამეს კი უფრო ის ესურვება, რომ თავის დღეში თავის-თავზედ არ დაიხედოს და თავის ცოდვები არ დაინახოს....

მაგრამ მამლის ყივილი კი მაინც კარგია და კარგი!....

***

მაგრამ რა დროს მამლის ყივილზედ ლაპარაკი არის, როდესაც შინ და გარედ საშიშროება და დიდი ხიფათი მოგველის! ომზედ მოგახსენებთ, ბატონებო, ომზედ!... მაინც და მაინც არც მაგდენი შიში გვმართებს. ცოტა არ იყოს, ინგლისმა კუდი ამოიძუა და მზად არის ჩვენთან მშვიდობიანობა იქონიოს, თუ ნამეტნავად არ გავიგდებთ ფეხ-ქვეშ მის „ინტერესებს“. მერე ვინ თელავს ამ „ინტერესებს“? სულაც არავინ. რუსეთს ცოტა რამ უნდა: პენჯდე ხომ დაიჭირო და დროებითი მმართველობაც გამართა შიგ; მასუკან ყურისკენ გზას გაიკაფავს და მერე თავისთვის იქნება. რა მოაკლდება ამით ინგლისის ინტერესებს?! არაფერი სრულიად: ქვეყანა, ღვთის მადლით, დიდია, ყველანი დაეტევიან, თუ ზომიერად იქმნებიან. რაც უნდა იყოს, სანამ, ინგლისი ომს გადაწყვეტდეს, ჩვენ კი ამას ვიზამთ და მერე თუ უნდა, ქვა ააგდოს და თავი

სოფ. ჯევანშირში დაუჭერიათ ფურგონი, რომელიც დატვირთული ყოფილა პიბოდის სისტემის თოფებით.

ქალაქში თან-და-თან იყრებიან მეკენჭეები. ამბობენ, სიების შემოწმების შემდეგ, ჯერჯერობით ასამდე კენჭი აღმოჩნდაო. სოფლიდამ ჩამოსულთ შორის მომეტებული რიცხვი სიღნაღლებს ეკუთვნით, რომელნიც, თურმე, ძველის მარშლის გამოცვლას აპირობენ. ზოგის მარშლად, როგორც ისმის, ისევ თ. დ. ი. ქ. შალიკაშვილი დარჩება. მაგრამ ყველას ყურადღება გუბერნიის მარშლის ადგილზეა მიქცეული...

კავკასიის მთავარ-მმართებელი დაბრუნდა თბილისში ამ თვის პირველს.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ძლივს მოვიდა მაისის ქუჩუნა წვიმა და გვალვისაგან გახურებული დედა-მიწა შეალბო. მაისის 2-დამ 3-მდე მთელი ღამე წვიმდა და თუ ეს ავდარი სხვაგანაც იყო, ძალიან არგებს მოსავალს.

## „დროების" კორესპონდენცია

**სიღნაღის მაზრა** აპრილის 28. სიღნაღის მაზრას, თბილისის გუბერნიაში, სოფლების რაოდენობით, სივრცით და მცხოვრებთა რიცხვით, მეორე ადგილი უჭირავს (პირველი მაზრა გორის მაზრაა). სიღნაღის მაზრას შეადგენს ოცდა-ოთხი სოფლის საზოგადოება და თუქურმიშას საპრისტავო ელდარი. სიგრძით ეს მაზრა 200 ვერსზედ მომეტებულია. სამაზრო ქალაქი სიღნაღი თითქმის შუაგულ მაზრაში მდებარეობს. მას გარშემო ახვევია მთელი ქიზიყის სოფლები, მხოლოდ წინამხრის და უკანამხრის სოფლები კი კარგა დიდ მანძილზე მდებარეობენ. (ზოგიერთა სოფელი 35 ვერსის სიშორეზეა).

ასეთმა უსწორ-მასწორობამ სიღნაღის მაზრისამ გამოიწვია მთავრობის მხრივ მეორე მომრიგებელი სასამართლოს განყოფილების დაარსება უკანა-მხარში ს. ქოდალოში. ამ განყოფილებაზეა მიწერილი წინა-მხრის სოფლებიც.

ეხლა, როგორც აქ არის გავრცელებული ხმა, მთავრობას მესამე სასამართლოს დაარსებაც განუზრახავს სიღნაღის მაზრაში თუქურმიშაზე.

ჩვენ ჯერ დარწმუნებით არ ვიცით, ზემოხსენებულ ხმას საფუძველი აქვს თუ არა; არ ვიცით აგრეთვე, რომელი ნაწილი მაზრისა იქნება მიწერილი მესამე სასამართლოს განყოფილებაზე, თუ იგი თუქურმიშაზე იქმნა დაარსებული. მაგრამ უადგილოდ არ მიგვაჩნია მივაქციოთ ყურადღება წინადვე, ვისაც ჯერ არს, თუ სად უფრო საჭიროა მესამე სასამართლოს განყოფილების დაარსება, სიღნაღის მაზრაში, თუქურმიშაზე, თუ სხვა რომელიმე სოფელში.

როგორც ზევით ვსთქვით, სიღნაღის მაზრას შეადგენს ოცდა-ოთხი სოფლის საზოგადოება. ეს სოფლები მდებარეობენ: ათი წინა-მხარში, თერთმეტი უკანა-მხარში და ცამეტი ქიზიყში.

ქიზიყის სოფლები სიღნაღს გარს ახვევია, ასე რომ ქიზიყი სრულიად მისი სოფლებით სიღნაღიდამ ათ ვერსზე მდებარეობს. უკანა-მხრის სოფლები ერთიერთმანეთზედ არიან გადაბმულნი ცივ-გომბორის ქედის მდ. ივრისკენ მიშვერილ მხარეს. წინა-მხრის სოფლები კი მდებარეობენ ცივ-გომბორის ქედის მეორე მხარეს მდ. ალაზნისკენ. ეს ორივე ნაწილი მაზრისა სიღნაღზე კარგა სიშორეზე მდებარეობენ (35 ვერსზე ზოგიერთა სოფლები). ამ გარემოებამ აიძულა მთავრობა, რომ სასამართლოს მეორე განყოფილება დაეარსებინა ს. ქოდალოში, უკანა-მხარში.

წინა-მხარი, როგორც ზევითაც ვსთქვით, მიწერილია ს. ქოდალოზე, მაგრამ ს. ქოდალა წინა-მხარზე ისე შორსა მდებს, რომ სასამართლოში დაბარებული ერთი დღის მაგივრად სამი დღე სცდება. ორი დღე უნდება მისვლა-მოსვლას და ერთი დღეც სასამართლოში საქმეს.

ს. ქოდალა ისეთ სოფელს არ წარმოადგენს, სადაც დაბარებულებმა იშოვონ (თუნდ ფასითაც) თავ-შესაფარი, ამიტომ დაბარებულნი თითქმის ცის ქვეშ ატარებენ ორს ღამეს.

საჭმელ სასმელის შოვნაც სასყიდლითაც საძნელოა ასე რომ სასამართლოში მიმავალნი საგძლით მიდიან, როგორც დღეობაში. ეს გარემოება გვაიძულებს, ვსთქვათ, რომ თუ სიღნაღის მაზრაში მესამე სასამართლოს განყოფილება დაარსდება, უეჭველად უნდა დაარსდეს წინა-მხარში, ს. გურჯაანში, რადგან ს. გურჯაანი სწორედ შუაგულ წინა მხარში მდებარეობს, ამასთან ზოგიერთა უკანა-მხრის სოფლები (მაგ. ჩუმლაყი, მელაანი და სხვა) შეიძლება გურჯაანზე მისწერდეს, რადგან ეს სოფლები გურჯაანზე უფრო ახლო მდებარებენ, მანამ ს. ქოდალაზე.

მაგრამ იქნება თუქურმიშაში დაარსება მესამე სასამართლოს განყოფილებისა უფრო საჭირო იყოს, ვიდრე წინა-მხარში. ამის გასარჩევად საჭიროა მკითხველს ავუწეროთ თუქურმიშა, თავისი ახლო მდებარე სოფლების რაოდენობით.

თუქურმიშა მდებარეობს შირაქის მხარეზე სიღნაღიდამ 40-მდე ვერსის სიშორეზე. იმის ახლო მხოლოდ ელდარია. თუმცა თუქურმიშაც და ელდარიც საკმაოდ შორს მდებარებენ სიღნაღზე, მაგრამ თუქურმიშა ელდარითურთ ძლიერ ჩამოურჩებიან წინა-მხარს, თუ სოფლების რაოდენობით, თუ მცხოვრებთა რიცხვით. რადგან ყოველი დაწესებულებები მცირედენისათვის კი, არა უმრავლესობისათვის წესდება ყველგან, ამიტომ ჩვენის აზრით უფრო საჭიროა მესამე სასამართლოს განყოფილების დაარსება წინა-მხარში და არა თუქურმიშაზე.

—

რადგან სიტყვამ მოიტანა, მსურს ერთ გარემოებასაც მივაქციო ყურადღება. აგერ ნახევარ წელზედ მეტია, რაც სიღნაღის სასამართლოს მსაჯული თ. წერეთელი თბილისში იმყოფება. თუმცა ამბობდნენ, რომ ისევ ბრუნდებაო, მაგრამ ახლა დარწმუნებით შევიტყეთ, რომ იგი გადასულა სხვა ადგილას. მის თანამდებობას ასრულებს ქოდალოს სასამართლოს განყოფილების მსაჯული, ასე რომ დღეს მთელი მაზრის საქმეები სიღნაღში ირჩევა. ეს შორეულ სოფლების მცხოვრებთათვის ძლიერ საძნელოა და ამიტომ ვისურვებთ, რაც შეიძლება მალე იქმნას სიღნაღში ახალი მსაჯული დანიშნული და მით ქოდალოს სასამართლოს განყოფილებაზე მიწერილ სოფელელებს ასცილდეთ 35—40 ვერსის სიშორეზე სიარული.

ი. კახელი.

**ქუთაისი,** მაისის 3-ს. ქუთათური საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა მაისის 2-ს, რადგან ამ დღეს დანიშნული იყო მარულა პრინცი ოლდენბურგის თაოსნობით. ბევრი ცხენი და ცხენოსანი სხვა-და-სხვა ადგილებიდამ შეიკრიბენ ქუთაისში მარულაში მონაწილეობის მიღებისათვის. მარულაზე დიდი ხალხი დაესწრო და გრილმა ტაროსმაც ხელი მოუწყო ამ სასიამოვნო და სასარგებლო დროს გატარებას. მეორე და მესამე ჰენებაში (სულ ხუთი ჰენება იყო) გამარჯვება დარჩათ ყმაწვილებს:—თოთხმეტი წლის აბხაზმა და ცამეტის წლის მეგრელმა აიღეს პირველი პრიზები. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: ჰკოცნიდენ და ხელიდამ ხელში გადაჰყავდათ ეს პატარა ბუმბერაზები. ეგებ ამაზე მიპასუხონ: პრიზს ცხენი იღებს და არა კაციო. მართალია, ცხენს დიდი მნიშვნელობა აქვს მარულაში, მაგრამ ერთი-ორად მეტს ნიშნავს ცხენოსნობის ცოდნა და ხერხი ჰენებისა. მეგრელი ბავშვის ცხენი ყველაზე მდარე იყო, გამარჯვება კი მეგრელს დარჩა

სხვა ახალ ამბებში შეიძლება კიდევ აღვნიშნოთ ერთი საქმე, რომელიც ამ მოკლე ხანში განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ. ეს იყო საჩივარი პავლე ჯანაშვილისა მარია ყარაყოზოვის ანდერძის გაუქმებაზე.

„დროებაში" იყო კიდეც წერილი ამ საქმის თაობაზე. როგორც მკითხველებმა იციან მარია ყარაყოზოვისამ თავისი ქმრისაგან დატოვებული ქონება უანდერძა ეკლესიას, კათოლიკეთა სკოლებს, ღარიბ ქმრის ნათესავებს და ქმრის ერთგულს მოჯამაგირეს. პავლე ჯანაშვილმა, მარია

---

შეუშვიროს. ხიშტზედ არ არის საქმე?! რა გვიშავს, მერე: შეიძლება სხვაფრივ ვიყვნეთ ღარიბნი, თორემ, მადლობა გამჩენს, ხიშტები ბევრი გვაქვს; ყველა რომ ავაშვიროთ, მგონია, მზეც კი დავაბნელოთ. მაშ გაუმარჯოს ისევ ხიშტს, ამ მეცხრამეტე საუკუნის მსაჯულს?...

***

გარედ ომს აღარ ვსჩივით, რომ შინაობაში არ მოგვივიდოდეს ხმალთა ბრიალი. ორი ვაჟბატონი კი მაინც ნიყვივით მჯავს აყვანილი: ერთი სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორი და მეორეც გუბერნიის მარშალი. ჯერ მაინც და მაინც მაგდენად საშიშიც არ არის მათი მდგომარეობა, რომ სასო-წარკვეთილებას მივეცეთ; მართალია, სიცხე კი აქვსთ, მაგრამ ჭირის-უფლები ძალიან გვაიმედებენ მათს მორჩენას. წამალი ბევრი აქვთ მოზიდული და მოსაზიდავად დაბარებულიც: ზეთისი, ღვინო, კალმახი, წვერა, სვირული ღვინო, ღომი, მეგრული ყველი და ნაზუქი და სხ-და-სხ. ზოგი ამბობს, რომ მარშლად პატიოსანი კაციარავინ დაგვიდგებაო და სხვებში-კი, აბა, ვილას, ვიპოვნით იმაზედ უფრო შესაფერს, ვინც ახლა გვყავსო. უფრო კბილ-დალესილნი ბანკზედ არიან. საზოგადო აზრით საჭირო არ არის ბევრი მოსამსახურე მხოლოდ იმიტომ, რომ ბანკის სკამებს და სტოლებს მოუდგენ, რადგან ბანკის მოქმედება შეკვეცილი არისო; სრულიად საკმაო არისო ერთი მმართველი, ერთი დირექტორი, ერთი ბუხჰალტერი და ერთი სტოროჟიო: მმართველმა ფული მიიღოს, ბუხჰალტერმა წიგნში ჩასწეროსო, დირექტორმა ქაღალდები სწეროსო და სტოროჟმა ოთახები დახვეტოს ხოლმეო. როგორც ჰხედავთ, ძალიან უბრალოდ არის მოსაზრებული. მაგრამ იმას-კი აღარ ჰფიქრობენ, რომ ბანკს თავის წესდება აქვს და რომ ეს წესდება, სანამ იგი არსებობს, ყველასაგან პატივცემული და აღსრულებული უნდა იყოს. საზოგადოდ ძალიან ადვილად ეკიდებიან ბანკის რთულს საქმეს და, ჰგავს, ასში ორმაც არ იცის ბანკის წესდება და ის შედეგი, თუ რა მოჰყვება საზოგადოდ ამ გვარს, თუ იმ გვარს გარდაწყვეტილებას. მაგრამ ამაზედ შემდეგისათვის იყოს.

***

ახლა-კი ყელში კიდევ ძვალად გვაქვს დარჩენილი სამეგრელოის ენის შესახებ მომხდარი ამბავი. ამბობენ, ვითომც ბძანება გაეცესთ, რომ მომავალ სექტემბრამდის სამეგრელოში ძველებურად სწირონ და მაშინ-კი ახალი ბძანება გამოიცემაო მათთვის. კეთილი! მანამდის ვინ იცის, რა მოხდება,—შეიძლება ჩხუბიც მოხდეს, ეს მოხდეს, ის მოხდეს!.. მაგრამ მე ამაზედ-კი არა ვსდგევარ,—დაცინვის საღერღელი მაქვს აშლილი და მინდა იმათ ანგარიშზედ ვიოხუნჯო, ვინც უსუმრად ამტკიცებდა ქართულისა და მეგრულის ენისა და ერის ერთობას, ძმობას! ვინ უნდოდათ ამით დაეჯერებინათ: ჩვენ ისეც ვიცოდით და სხვებს ხომ შეცდომით არ მოსვლიათ თავიანთ განკარგულება... საქმე როგორც არის, იმათაც იციან და ჩვენც ვიცით, მხოლოდ „გაჭვრიტე და გაზომე" უნდა. ჩვენ-კი იმის მაგიერ, რომ „გავჭვრიტოთ და გავზომოთ", მოვყოლივართ წილადობილას და მხოლოდ ერთმანეთს ვატყუებთ: აქაო—„ართი" „ერთი" არისო და „სუმი" „სამიო"; ვითომ იმ „სხვებმა" კი არ იციოდენ, რომ ორ-ჯერ ორი ოთხია და არა კართოფილის სანთელი!... არა, ძმაო, მე ისევ ძველებური ანდაზა მაგონდება:..

გარეშე მაყურებელი.

უარაყოზოვის ძმამ, დაიწყო ამ საქმეზე დავა. სამსჯავრომ პავლე ჯანაშვილს უარი უთხრა და კანონიერად იცნო ანდერძი.

თავად-აზნაურობა საკმაოდ შეკრებილია ეხლა ქუთაისში. ამ დღეებში დაიწყება საგუბერნიო და ბანკის კრებები. ჩვეულებრივი მითქმა - მოთქმა და მხიარულება აღარ გახლავთ: ზუთხით და შუშხუნით აღარავის უტკბება სასა... დროა დაფიქრებით ვიმოქმედოთ არჩევნების დროს. გვესაჭიროებიან იმ გვარნი პირნი წინამძღოლებად, რომელნიც კარგად იცნობდენ ჩვენს ქვეყანას, მის ავსა და კარგსა; ჰქონდეთ ნამდვილი გულ-შემატკივრობა მამულისა და მასთანვე გამჭრიახობა. ეს მარტივი ჭეშმარიტება ეხლა მაინც ყველასათვის ცხადია.

ქუთათური შემატკივარი.

## დავა შუა აზიაში

◆◆ Times-ი სწერს: „სანამ ინგლისი „ავღანის საქმეთა“ გამო არ მოითხოვს სრულს პოლიტიკურს და სამხედრო დაკმაყოფილებას, მანამ ინდოეთის მდგომარეობისა უნდა ეშინოდეს მას. ინდოეთური გაზეთები ერთ-ხმად ამბობენ, რომ რუსეთის გავლენას თურქმენებზე ძლიერ დიდი წარმატება დაემჩნაო, და, უეჭველია, რუსის ჯარი, რაკი საკმაოდ შეივსება, წაიწევსო წინ. თუ ინგლისი იმდენად უძლურია, რომ მშვიდობიანობას უწვდის ხელს, თუმცა ეს მშვიდობიანობა სრულიადაც არ იქმნება ნამდვილი „მშვიდობიანობა“, მისი (ინგლისის) დასჯა აუცილებლად მოჰყვება ამ გარემოებას.“

◆◆ლიბერალური „Morniug Chronicle“ შეუძლებელად რაცხს, რომ გლადსტონმა უკან წაიღოს თავისი მოთხოვნილება ავღანის საქმის გარკვევის შესახებ.

◆◆ პეტერბურგელი კორესპონდენტი Polit. Corr.-ისა იწერება, რომ თუმცა ზოგიერთი ინგლისური გაზეთები იწერებიან,—ბრიტანიის მმართებლობა მოსთხოვსო რუსეთს ჰერატისაკენ არ წასწიოს მან ჯარებიო, მაგრამ რუსის მმართებლობა ვერ დასდებს ესეთს პირობას.

◆◆ ამ უკანასკნელს ხანებში ინგლისის პარლამენტში ბევრი ცხარე სიტყვები წარმოითქვა, თუ რუსეთისა და თუ ინგლისის მმართებლობისადმი მიმართული. ერთ უფრო შესანიშნავ სიტყვად უნდა ჩაითვალოს ლორდ ჩერჩილის სიტყვა, რომელიც მთლად მოჰყავთ როგორც საზღვარგარეთის, აგრეთვე რუსულს გაზეთებსაც. ადგილის სიმცირის გამო, ჩვენ ამოვკრიბეთ ამ სიტყვიდამ უფრო ღირს-საყურადღებო ადგილები: „მგონია, უთქვამს ჩერჩილს, საკმაოდ ცხადად დავამტკიცე — რად არ უნდა ერწმუნოს პალატა არ უნდა დაენდოს პარლამენტი დედოფლის რჩევის მიმცემთ. მაგრამ თუ დავსძენთ აქ სხვა გარემოებასაც, მაგალითად, საკახტო სიტყვაში გამოთქმულს აზრს, რომ მმართებლობა ეცდება დაიცვას თავისი სახელი, გავლენა სამხრეთ აფრიკაში, თუმცა ამ გავლენის დაცვისათვის არავის გამოუდვია თავი; დაპირებას, რომ დავიცვავთ გენ. გორდონსაო, რომელიც, ეხლა ხედავთ, როგორც დაიცვეს; მოხსენებას, რომ მმართებლობა მალე შემუსრავს მაჰდის ძლიერებას, თუმცა ეს ძლიერება ვერ შემუსრეს და ვერც შემუსვრენ; თუ დავსძენთ მას, რომ დედოფლის მმართებლობამ არა თუ დასცა, დაამდაბლა ბედ-კრული ეგვიპტის მმართებლობა, რომელიც დღეს იძულებულია თაყვანი სცეს საფრანგეთს, არამედ თვით იგი, დედოფლის მმართებლობაც საფრანგეთის-მიერ დამცირებული შეიქმნა; — თუ მივიღებთ ყველა ამას მხედველობაში, მაშინ ცხადი იქმნება, რომ დედოფლის მმართებლობას ვერავითარს ნდობას ვერ გამოვუცხადებთ. რად ეხებით ამ საგანსაო?— მეტყვიან ეხლა ბევრი თქვენ აღელვებთ საზოგადოებას, გწადიათ ომი, თანაუგრძნობთ ომის მსურველ დასსაო! მე მივუგებდი ყველა ამაზე, რომ დიდი უსამართლობა და წინ-დაუხედაობა იქმნებოდა ჩემი გამტყუნება ამ მხრით მე მწადიან ვუჩვენო პალატას, რამდენად შეუძლებელია ინდოეთის ხელ-უხლებლობა დავიცვათ ჩვენ რუსეთთან მორიგებით. მმართებლობას სრული ნება აქვს, როგორის პირობებითაც ჰსურს, შეეკრას რუსეთს, მაგრამ ინდოეთის ხელ-უხლებლობისათვის, დაცვისათვის სულ სხვა პირობა, სხვა გზაა საჭირო. და ეს გზა მაინცა-და-მაინც შეიარაღებულს შეტაკებას როდი საჭიროებს. მე ვუჩვენებ მხოლოდ ზოგიერთ საშუალებას ინდოეთის დაცვისათვის. საჭიროა გაუმჯობესდეს, უფრო მართლად იქმნეს გაყვანილი ჩვენი საზღვრები; საჭიროა შეკრულ იქმნენ ძლიერნი კავშირნი და საჭიროა, ვეცადნეთ, რომ ინგლისისა და მის კოლონიების შორის დამყარდეს ერთობა, ერთ-სულობა, ან და თუ ეს არ მოხდება, მაშინ საკმაო ძლიერი ჯარი მაინც უნდა გვყავდეს ინდოეთის დაცვისათვის. სხვა ბევრი ღონის-ძიებაც არის, სხვა საშუალებაც, მაგრამ მეშინიან, მათმა დასახელებამ ყურადღება არ მიიქციოს, რადგან ახირებულად წარმოუდგენიათ, რომ საქმე უბრალო, სრულებით უმნიშვნელო უდაბნოსა და ნახევრად ველურს ხალხს შეეხებაო მაგრამ, თუ პალატა უყურადღებოდ დასტოვებს იმ საშუალებათ, რომელთაც მე მივუთითე, მაშინ აუწერელს ზარალს ნახავს ჩვენი ქვეყანა“.

◆◆ „Indépendance Belge“-ს სწერენ ლონდონიდამ: „ამ ჟამად საყოველთაო მსჯელობის საგნად შეიქმნა გლადსტონის კაბინეთის დამოკიდებულება რუსეთთან. ეხლავე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კაბინეთს დიდი რისხვა მოელის ოპოზიციისაგან. უმეტესი ყურადღების ღირსია ის თანაგრძნობა, რომელსაც აცხადებენ ტორიის დასის წევრნი ჩერჩილის სიტყვის გამო, რომელიც ჰკიცხავდა მინისტრებს სიმხდალისათვის, რუსეთისათვის დამდაბლებულის თავაზიანობის გაწევისათვის. ოპოზიციას, ეტყობა, ჰსურს ისარგებლოს იმ შეურაცხებით, რომელიც გლადსტონის პოლიტიკამ მიაყენა ნაციონალურს შოვინიზმს სალისბიური და ამის თანა-მოაზრენი დარწმუნებულნი არიან, რომ საზოგადო ამორჩევები დიდს უმრავლესობას შესძენენ კონსერვატიულს დასს, რადგან საზოგადოება ვერ მიუტევებს ლიბერალურს დასს მისს საქციელს „ავღანის საქმეებში“, ვერ დაივიწყებს გორდონის სიკვდილს და იმ დამარცხებას, რომელიც გლადსტონის პოლიტიკას ხვდა სუდანის საქმეებში და ვერც ლორდ-გრენვილის დიპლომატიურს დამარცხებას თ-დის ბისმარკისაგან. პოლიტიკურს წრეებში ლაპარაკობენ, რომ ყველა ამის გამო ოპოზიცია ეცდება ადრე დაინიშნოს ამორჩევები, ე. ი. გადააყენონ კაბინეთი პარლამენტის კენჭის ყრით, იმის მაგივრად, რომ უცადონ ნორმალურად დაცემას პარლამენტისას. საზოგადოდ ბევრს სჯიან ამ უკანასკნელ ხანებში მაზედ, რომ მალე მოხდება ყრილობაო, რომელმაც ერთხელ და უკანასკნელად უნდა გადასწყვიტოს გლადსტონის სამინისტროს ბედი. მანამდის-კი ოპოზიციის დასის მეთაურნი ბრალს სდებენ კაბინეთს მასში, რომ მან განგებ დაიწყო ომისათვის მზადება, ამასობაში იხელთა დრო და სუდანიდამ გამოაპარა ჯარიო. ეს ერთი უძლიერესი ბრალდებათაგანია გლადსტონის კაბინეთისადმი მიმართული.“

◆◆ დანიისა და შვეციის გაზეთები იწერებიან; რომ აუარებელს რიცხვს ამ სახელმწიფოთა მატროსებისას მოუმართავთ თხოვნით ინგლისის ელჩისადმი კოპენჰაგენში, რომ ესენი მიღებულ იქმნან სამსახურში ინგლისის ხომალდებზე, რომელნიც ბალტიის ზღვაში შესასვლელად არიან გამზადებულნი. ერთი ნორვეგიის გაზეთი სწერს, რომ ნორვეგიაში ინგლისელი ელჩი დაეძებს გამოცდილს ლოცმანებს ინგლისის საომარი გემებისათვის თეთრს ზღვაში.

◆◆ „აშტარხანის ფურცელს“ სწერენ კრასნოვოდსკიდამ, რომ აქ ამ ჟამად დიდი მოძრაობააო; თითქმის მუდამ დღე მოდიან გემები ჯარებით, რომელნიც საშუალო აზიისაკენ მიელაშქრებიანო.

## წერილი რედაქტორთან

ამ დღეებში მივიღე თხოვნისა-მებრ ჩემისა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ ორმოცამდე სხვა-და-სხვა ქართული წიგნები სასარგებლოდ ჩემდამი რწმუნებულის გულეკარის სახალხო სკოლის ბიბლიოთეკისა, რომლისათვის გულითადს მადლობას უძღვნიან მთელი გულეკარის საზოგადოების მცხოვრებნი და შეგირდები მასწავლებლითურთ პატივცემულ „საზოგადოებას“.

გულეკარის სკოლის მასწავლებელი დომენტი ფურცელაძე.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 3.

ლონდონი. გაზეთები იწერებიან, რომ რუსას პასუხი უმთავრეს მუხლებში თანაბარაა ინგლისის პროექტისა ავღანის საზღვრის გაყვანის შესახებო; მაგრამ პროექტი დამთავრებით არ არის ჯერ მიღებულიო და მოლაპარაკებაა კვლავ გამართული, რომ განიმარტოს, თუ რა ცვლილება შესაძლოა მოხდესო.

ბელგრადი. შესდგა კაბინეთი გარაშანინის თავ-მჯდომარეობით.

მაისის 4-ს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: გენერალს კომაროვს. „თქვენ-მიერ საგანგებო განკარგულებათა მოხდენისათვის მურღაბის რაზმის მიმართ, და წინ-დახედულ მოქმედებისათვის ავღანელთა წინააღმდეგ, აგრეთვე გულადობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის 1885 წ. მარტის 18-ს ტაშ-კეპრესთან შემთხვევის დროს, ყოვლად მოწყალედ გიბოძებთ თქვენ, ოქროს ხმალს, ბრილიანტებით მორთულს ზედ-წარწერით: „მამაცობისათვის“. პოდპოლკოვნიკს ზაკრჟევსკის ებოძა ოქროს ხმალი ზედ-წარწერით „მამაცობისათვის“.

ხუთშაბათს ხემწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა და სხვა წევრნი საიმპერატორო გვარეულობისა დაესწრენ სახელოსნო გამოფენაზე. ფინანსთა მინისტრმა თაიგული მიართვა იმპერატრიცას. სახელოსნო წოდების სტარშინამ ხემწიფე იმპერატორს მიართვა პურ-მარილი ვეცხლის ბლიუდით, რომელზედაც გამოხატული იყო ხემწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცა ეკატერინა II-ის ვენზელები და ცეხის ნიშნები. მათ დიდებულებათ ორი საათი დაჰყვეს გამოფენაზე და დაათვალიერეს ყველა განყოფილებანი.

გუშინ გარდაიცვალა სამხედრო-იურიდიული აკადემიის პროფესორი, ცნობილი მსწავლული იურისტი და მწერალი კაველინი.

გაზეთები იწერებიან, რომ მაისის 7-ს სახელმწიფო რჩევაში საბოლოოდ გადაწყდება საქმე კაპიტალის სარგებელზე გადასახადის დადების შესახებო. ხმები, ვითომც ამ პროექტს ბევრი დაბრკოლებანი შეხვდენო, ტყუილია; პროექტი მცირედ იქმნა მხოლოდ შეცვლილი; ჰფიქრობენ რომ მთელი ჯამი გადასახადისა $10^{1}/_{2}$ მილიონამდე შესდგებაო; გადასახადის შემოღებას ივლისის 1 დამ ჰფიქრობენ.

## ბირჟა

პეტერბურგი მაისის 3.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— —$24^{5}/_{16}$, $24^{3}/_{8}$ $24^{7}/_{32}$

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | 206¾, 206⅞ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | 255¾, 256 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 15 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 13 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 30 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და 7% |
| 5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 95½ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 95 მ. 37 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 95 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | 219¾ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 207 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 168½ მ. გაყ. |
| თბილისის სააღგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. 88¾ მ. გამყ. |
| ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

# განცხადებანი

### კვირას მაისის 12-ს

სოფ. ორბელს (ლეჩხუმის მაზრაში) სასოფლო სკოლის სადგურში, ადგილობრივის მთავრობის ნება დართვით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, ამავე საზოგადოების დამხმარებელის წევრის თავ. ქაიხოსრო ზელოვანის თაოსნობით გამართულ იქნება

## სალიტერატურო საღამო

დაახლოებულს მონაწილეობას მიიღებენ ქ. ქ. დესპინა შარვაშიძე-გელოვანისა, ნინა, ერისთავი—გელოვანისა, ოსანა გელოვანის ასული. გ. გ. ა. გამრეკელი. ვარ. გაბიჩვაძე, ქაიხოსრო გელოვანი და სხვანი.

საღამო შესდგება ჩვენი საუკეთესო პოეტების ლექსების წაკითხვით, აგრეთვე სცენებისა, და სამეცნიერო თხზულებებიდამ იმ ალაგების წაკითხვით, რომელნიც შეეხებიან კაცის შთამომავლობითი სიმრთელის დაცვას; ლეკურისა, და აფხაზურის თამაშობით. საღამო დასრულდება სიტყვით, რომელსაც წარმოსთქვამს ქაიხ. გელოვანი შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ხალხის გონებითი წარმატებისათვის „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და რა საგნის მისაღწევად ილვწის იგი. დასაწყისი ნაშუადღევის მეშვიდე საათზედ. ადგილების ფასი იაფია. (3—1)

---

გამგეობა ტფ. სათავად-აზნაურო აადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მეოცე ტირაჟში, რომელიც 1885 წ. აპრილის 25-ს მოხდა, ამ ბანკის გირავნობის ფურცლებისა შემდეგი ნომრები გამოვიდა:

1) გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემულნი იქმნენ 1874 წ. მაისის 28-ს წესდების ძალით.

I სერიისა
18 წლით და 7 თვით.

ასი (100) მან. ღირსებისა №№ რვა (8) და ორმოც-და-ერთი (41).

27½ წ.

II სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № ას-თერთმეტი (111).

III სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № ას-ოცი (120).

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ოთხმოც-და-რვა (88).

ასი (100) მან. ღირსებისა № ორმოც-და ჩვიდმეტი (57)

IV სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № თერთმეტი (11).

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № სამოც-და-ჩვიდმეტი (77).

V სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ორმოც-და-ცამეტი (53).

VI სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა №№ თხუთმეტი (15) და ორი (2).

VIII სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № თერთმეტი (11).

ასი (100) მან. ღირსებისა № ას-ორი (102).

X სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № ას-სამი (103)

43½ წ.

VI სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ოც-და-ცხრა (29) და ჩვიდმეტი (17).

VII სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა № ას-ოც-და-თორმეტი (132).

VIII სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ოც-და-ჩვიდმეტი (37).

IX სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ორმოც-და-სამი (43).

X სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა № ორი (2).

XI სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა № ას-სამოცდა-თხუთმეტი (175).

54½ წ.

II სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა № ორმოცდა-რვა (48).

III სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № სამოც-და-ცხრა (69).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ სამოც-და-შვიდი (67) და ორმოც-და-ჩვიდმეტი (57).

2) გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემულნი იქმნენ 1881 წ. თებერვლის 17 წესდების ძალით.

27½ წ.

I სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა №№ ორას ოთხმოც-და-რვა (298), სამას-სამოც-და-ცამეტი (373), ორას-ოთხმოც-და-ორი (282) და ოთხმოც და-ხუთმეტი (95).

ასი (100) მან. ღირსებისა № ორას-ოცდა-თორმეტი (232)

II სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა №№ რვაას-ოცდა-ცხრამეტი (839), რვაას-ოცდა-თექვსმეტი (836). ას სამოცდა-რვა (168), ორმოცდა-თორმეტი (52), ორას-ორმოცდა-ხუთი (245), სამას-ორმოცდა-თოთხმეტი (354), სამას-ორმოცდა-ცხრა (349), ხუთას-სამოც-და-თხუთმეტი (575) და ას-ოცდა-სამი (123).

III სერიისა

ათასი (1000) მან. ღირსებისა № სამოც-და-ერთი (61).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ას-შვიდი (107) და ჩვიდმეტი (17).

IV სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ოც-და-ხუთი (25).

ათასი (1000) მან. ღირსებისა №№ ოთხმოც-და-რვა (88) და ას-ორმოცი (140).

V სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № ჩვიდმეტი (17) ორმოც-და-თვრამეტი (58).

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ათი (10).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ სამოც-და-ექვსი (66) და ორმოც-და-ათი (50).

VI სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ექვსი (6).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ოც-და-ათი (30), ხუთი (5), ოთხმოც-და-ერთი (81), და ოთხმოცი (80).

VII სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა №№ ოც-და-ერთი (21), ორას-ოთხმოც-და-თვრამეტი (298) და ორმოც-და-ექვსი (46).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ას-ოც-და-ცხრა (129) და ორას-სამოც-და-სამი (263).

VIII სერიისა.

ათასი (1000) მან. ღირსებისა № თხუთმეტი 15).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ოც-და-ცამეტი (33) და ჩვიდმეტი (17).

43½ წ.

I სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № რვა (8).

II სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა № ოც-და-ჩვიდმეტი (37) და ოც-და-თვრამეტი (38).

III სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ოც-და-ცამეტი (33).

IV სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ხუთი (5), თერთმეტი (11) და ორმოც-და-ათი (50)

V სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № თხუთმეტი (15).

VI სერიისა.

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ოც-და-ცხრა (29), ოცი (20) და ოც-და-სამი (23).

VII სერიისა.

ხუთასი (500) მან. ღირსებისა № ოც-და-სამი (23).

VIII სერიისა.

ათასი (1000) მან ღირსებისა № ორმოც-და-ორი (42).

ასი (100) მან. ღირსებისა №№ ორას-ოც-და-ცამეტი (233) სამას-სამოც-და-თორმეტი (372) და სამოც-და-რვა (68).

მეოცე ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს სარგებელი ეძლევათ 1885 წ. ივლისის 1-ლამდე.

ტირაჟში გამოსულის გირავნობის ფურცლებით ფულის მიღება შეიძლება: ტფილისში ბანკის კასაში, პეტერბურგში და ვარშავაში გ. ვაველბერგის საბანკირო სახლებში და მოსკოვში პოლიაკოვის კანტორაში.

---

კვირას მაისის 19-ს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართველობისაგან სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში დილის 10 საათზედ დანიშნულია

## წლიური კრება

„საზოგადოებისა“

კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

ა) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა 15 მაისიდამ 1884 წ.—15 მაისამდე 1885 წ.

ბ) მოსმენა და დამტკიცება მოსალოდნელის ხარჯისა და შემოსავლისა მომავალს საანგარიშო წლის განმავლობაში

გ) ამორჩევა მმართველობისა და საზოგადოების ახალ წევრთა.

მმართველობა სთხოვს „საზოგადოების“ იმ წევრთ, რომელთაც საწევრო ფული ჯერ არ შემოუტანიათ, დააჩქარონ შემოტანა აწ დანიშნულ კრებამდე. (5—2)

---

### თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 7, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგურში მოხდება ვაჭრობა იჯარით გაცემაზე მიწის, ქვის და შტუკატურის მუშაობის შესასრულებლად საქალაქო სახლზე (ადრე შიოევის). **სახლი, კრუჟოკისათვის დანიშნული, გოლოვინის პროსპექტზეა.** მსურველთ ყოველგვარი პირობანი შეუძლიანთ გაიგონ გამგეობაში დილის 10 ნაშუადღევის 2 საათამდე ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა. (3—3)